მიმდინარე მოვლენათა საბოლოო ჯამი წარმოადგენს სასიკვდილო კონვულსიებს უკანასკნელ კოლონიალურ იმპერიისა. ამ იმპერიამ /რუსეთმა/ პირველმა დაიწყო დაშლა 1917-18 წლებში. იგი ხელოვნურად იქმნა გაცოცხლებული 1920-21 წლებში; მაგრამ ამან ბევრი არ უშველა მოხკოვს, ეს მხოლოდ მოკლე ხულის მობრუნება გამოდგა: ამით მოხკოვის იმპერიის ლიკვიდაცია, იმპერიების დაშლის პროცესის რიგში ბოლო ალაგზედ იქმნა გადაწეული.

დღეს მსოფლიო იმყოფება ამ ქარიშხალის წინამორბედ სიწყნარის შუალედში. დიახ, მოხკოვის იმპერია ჯერ კიდევ არსებობს. მართალია კრემლი იჩენს დიდ ნერვიულობის ყოველგვარ ნიშნებს. მაგრამ, კრემლს საუცხოოთ აქვს შენახული და დაცული მოხკოვის საგარეო პოლიტიკის ისტორიული გამოცდილება და ტრადიციები. კრემლი მუდამ, ყველა სახელმწიფოთა მთავრობებზედ უკეთესად ერჩეოდა და ერჩევა საერთაშორისო მდგომარეობაში და ყველაზედ უკეთესად აფასებდა და იყენებდა მსოფლიოს ძალთა რეალურ განწყობილებას. სრულიად ცხადია, რომ კრემლი თავის ბრძოლაში შეხძლებს ყოველგვარ საშუალებების და მოვლენების სრულ და მიზანშეწონილ გამოყენებას, ე.ი. იბრძოლებს განწირულ და დაკარგულ საქმისთვის, იბრძოლებს მოხკოვის იმპერიის გადარჩენისთვის და ამით ჩააგდებს ხიფათში თვით ეთნოგრაფიულ რუსეთს. ეს გუნებრივი თვისება და ხაზია დაპყრობის ისტერიით გაცაცებულ ერების მოქმედებისა. ამის მაგალითს ისტორია ბევრს იძლევა.

ამ ნიადაგზედ როგორ გამოიყურება კრემლის დღევანდელი მოქმედება საერთაშორისო სარბიელზედ?

ერთმხრივ მოხკოვი სცდილობს ჩაითრიოს ჩინეთის ხალხი ანტიდემოკრატიულ ბრძოლაში ყველა, ვის ჩათრევასაც მოახერხებს იგი. მეორე მხრივ ხმარობს ყოველ ხა-

შუაღებას, რომ დაპყრობილი ერები დაიკავოს სრულ მორჩილებაში. ამ უკანასკნელ მანევრით /1956 და 1968 წ./ კრემლმა ძალიან შეახუსტა თავის გავლენა დასავლეთ ევროპის კომუნისტურ პარტიებზედ. აღმოსავლეთ აზიის კომუნისტურ პარტიებზედ უკვე ადრევე დაჰკარგა ყოველგვარი გავლენა. 1956 წლის წინ ყველა ეს პარტიები იმყოფებოდნენ მოსკოვის სრულ მონურ მორჩილებაში. მიუხედავათ ყველა ამ მარცხებისა, მოსკოვი ჯერ კიდევ ჰფიქრობს ყველა პოზიციების შერჩენას და ჯერ კიდევ არ აუღია ხელი მსოფლიოზედ გაბატონების იდეაზედ.

არსებული პოლიტიკური მდგომარეობა წარმოადგენს უდიდეს სახელმწიფოთა სასიცოცხლო ინტერესების ისეთ შეხლას და გადახლართვას, რომ მისი მშვიდობიანი გზით ახსნა სამხედრო გათამაშების გარეშე, ყოვლად შეუძლებელია. რა დროს ვარაუდით შეიძლება სამხედრო გათამაშების მოლოდინი?

აქ მივადექით ისეთ საკითხს, რომელზედაც ოფიციალურ მსოფლიოში არ არის დაშვებული ღია ლაპარაკი, თუმც ეს საკითხი წარმოადგენს ყოველ სახელმწიფოს სათანადო აპარატების ყოველდღიურ განხილვის საგანს.

დაპყრობილი ერები წარმოადგენენ პირველ და ყველაზედ დიდ და უანგარო მხხვერპლს ყოველ ესეთ პოლიტიკურ ქარიშხალისა. ყოველი ესეთი შეხლა იწყება და თავდება დაპყრობილ ერების ტერიტორიაზედ და ამ ერების ფასით. ამიტომ ჩვენ, ამ უფლებააყრილ და დაჩაგრულ ერების შვილებს გვაქვს პირდაპირი მოვალეობა, რომ ყველა ამ მოვლენებს შევხედოთ და შევაფასოთ ღია ფხიზელი თვალებით და ყოველი მოვლენა დავახასიათოთ თავის ნამდვილი სახელით, მიუხედავათ იმისა, თუ რას მოითხოვს ფარისევლური ეტიკეტი ოფიციალურ მსოფლიოსი.

თუ რუსეთმა გადახწყვიტა, რომ ჩინეთის საფრთხე დროებით მაინც დააგვიანოს, დროებით მაინც დახჩობს უკან და დაასუსტოს ეს ხიფათი, ამისთვის მას /რუსეთს/ ძალიან მოკლე ხანიღა დარჩა. ამის მიღწევა რუსეთს შეუძლიან მხოლოდ და მხოლოდ პრევენციული ომით. ეს პრევენციული ომი რუსეთმა უნდა დაიწყოს ჯერ კიდევ იმაზედ ადრე, სანამ ჩინეთის შინაგანი მდგომარეობა მიაღწევდეს სრულ დამკვიდრებას ახალ სამხედრო მთავრობის ხელმძღვანელობის ქვეშ, რომელიც დამყარდა ჩინეთის კომუნისტურ პარტიის უკანასკნელ კონგრესის შემდეგ და სანამ ჩინეთი მიაღწევდეს ატომის შეიარაღების სრულ საფეხურს; ე.ი. სანამ ჩინეთი მიაღწევდეს ნუკლეალურ იარაღის და შორსმჭრელ რაკეტების სრულ პროდუქციას.

ეს დრო განისაზღვრება სულ ხუთიოდე წლით. თუ ამ ხუთიოდე წლის განმავლო -

გაში რუსეთმა ვერ გაბედა პრევენციული ომი ჩინეთის, მაშინ უკვე ატომური რუსეთის უშუალო კარნახი მსოფლიოს პოლიტიკურ ხატებულებად და რუსეთი შეინარჩუნებს მფლობელობას საერთაშორისო ვითარებისა. ამასთან ერთად საინტერესოდ ადგება ე.წ. "ორ ბეძღიერებათა" სისტემა დედამიწის ბურგზედ. ეს ორწყება დასაწყისი ძალთა სულმთლად ახალი განწყობილებისა მთელ მსოფლიოში.

მსოფლიოს მიმდინარე პოლიტიკური ვითარება გვიჩვენებს მკვეთრად, რომ დღეს პრევენციულ ომის წარმოება რომელიმე სახელმწიფოსთვის, თითქმის, ყოვლად შეუძლებელია. მაშ არსებულ პოლიტიკურ კონფლიქტის სამხედრო გათამაშება მოხდება პატარა დაგვიანებით, მოხდება იმ დროს, როდესაც ყოველი მხედველობაში მისაღები სახელმწიფო, უკვე სრულ ატომურ შეიარაღების საფეხურზედ იდგება. ამ შემთხვევაში, მიუხედავათ იმისა, ატომური იარაღი იქნება ნახმარი თუ არა, კონფლიქტის ბედს გადაწყვეტენ ცოცხალი კონვენციალური შეიარაღებული ძალები, ვინაიდან მოწინააღმდეგეთა მიერ ურთი ერთ დაბომბვა, თუ გხურთ ატომის ბომბებითაც, ვერ გადაწყვეტს ომის და ბრძოლის ბედს, თუ ცოცხალი ძალები არ იქმნენ ნახმარი.

ამ წერტილიდან იწყება ძირითადი ცვლილება ისტორიის ხარბიელზედ. ეს მოვლენა ბრძოლის ველზედ გარდამწყვეტ მნიშვნელობას აძლევს იმ ცოცხალ მებრძოლ ძალებს, რომელთაც ხურთ ბრძოლა და იციან რისთვის იბრძვიან. ბრძოლის ველი ამ მნიშვნელობას აძლევს დაპყრობილ ერებს, ე.ი. ევროპის უსახელო მესამედს და ეთნოგრაფიულ ნიადაგზედ ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებს.

ეს მოვლენა არ წარმოადგენს არაფერ ახალს. ეს არის მხოლოდ აღდგენა იმ ბუნებრივ საერთაშორისო წონასწორობის, რომელიც უხეშად იქმნა დარღვეული მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნოებში. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ გვითითებს იმაზედ, რომ შეუძლებელია საერთაშორისო წონასწორობის მიღწევა სანამ არ იქნება აღდგენილი დაპყრობილ ერების სრულ უფლებიანი არსებობა. უამისოდ კატასტროფა იქნება მუდმივ პოლიტიკურ და სამხედრო შეხლათა გაუთავებელ განცდაში.

რას წარმოადგენენ დაპყრობილი ერები დღეს და რას წარმოადგენდნენ ისტორიაში?

დღეს დაპყრობილი ერები წარმოადგენენ ერთ მთლიან წყებას /ერთ მთლიან კატეგორიას/, რომელიც იბრძვის ერთ და იმავე მიზნისთვის - განთავისუფლებისთვის უცხო ერის ბატონობიდგან. ვინაიდან ყველანი დაპყრობილნი არიან

ერთდა იმავე ერის მიერ და ებრძვიან ერთ და იმავე ოკუპანტს, ყოველი მათი პოლიტიკური მოქმედება და ბრძოლა თავისთავად ერთდროულად ხდება და ამ მოქმედებათა კოორდინაციას ახდენს თვით ბუნება პოლიტიკურ ვითარებისა.

გეოგრაფიულად ამ ერებს უკავიათ ერთი მთლიანი სივრცე. ეს სივრცე იწყება თეთრ ზღვის ნაპირებიდან, მოზღევს ბალტიის ზღვას, მიდის შავ ზღვამდის და შავ ზღვის ნაპირებიდგან, გადადის კასპის ზღვამდე. კასპის ზღვის ჩრდილოეთ ნაპირიდგან ამ ერების სივრცე სწვდება ურალის მთებს და მდინარე ვოლგის შუა სიგრძეს.

აღნიშნული სივრცე წარმოადგენს ერთ მთლიან განუყოფელ ბოლს. ეს ბოლი, როგორც გარდამავალი შუალედი, იმყოფება ორ დიდ ბუმბერაზიულ და ძირითადათ განსხვავებულ ქვეყანის შუა - აღმოსავლეთის და დასავლეთის შუა. ამ შუალედ სივრცეებედ ხვდებოდნენ ერთმანეთს აღმოსავლეთის და დასავლეთის ცხოვრებათა ყოველგვარი განსახიერებანი. ამ სივრცეებედ მდებარეობდნენ ბევრი ე.წ. გეოგრაფიული "ხიდები", "კარებები" და "გადასავლები". აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს დასავლეთის და აღმოსავლეთის კულტურა, ცივილიზაცია და ხელოვნების ყოველი დარგი სამხედრო ხელოვნებასთან ერთად, საერთოთ ყველაფერი ის, რაც ანსახიერებდა დასავლეთის და აღმოსავლეთის თავისებურობას. ამ სივრცეებედ მცხოვრები ერები კარგათ იცნობდნენ ამ ორივე მხარის მეზობლებს, როგორც აღმოსავლეთიდან, ისე დასავლეთიდან.

დასავლეთს და აღმოსავლეთს რომ შეძლებიყოთ მშვიდობიანი თანაარსებობა და თანაგანვითარება, მაშინ ამ შუალედში მყოფ ერების სივრცე იქნებოდა გამაერთებელი ხიდი ამ ორ კულტურისა და ორ მხოფლიოსი. ეს იქნებოდა ბედნიერება მთელ კაცობრიობისთვის და განსაკუთრებით მათ შუაში მცხოვრებ ერებისათვის. საუბედუროთ, როგორც დასავლეთს, ისე აღმოსავლეთს ამოძრავებდა მხოლოდ დაპყრობის ხურვილი და ეს გარემოება იწვევდა განუწყვეტელ ბრძოლას და ომებს. ამ მდგომარეობაში აღმოსავლეთის და დასავლეთის შუალედი სივრცე შეიქმნა მუდმივ და გაუთავებელ ომების ბრძოლის ველად.

ისტორიამ თავის მსვლელობაში ეს ტრაღედია გაიმეორა დიდის ხიშუსტ პირველ და მეორე მხოფლიო ომების დროს.

მიუხედავათ იმისა, თუ ხალამდის აღწევდნენ აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან მომავალი ბვირთები მორიგე აგრესიისა, ამ ერების ტერიტორია მუდამ მთავარ ბრძოლის ველს წარმოადგენდა. ეს ხდებოდა ისტორიის ყოველ დიდ მოძრა-

ობის ხანაში. ამ სივრცეზედ დახახლებული ერები წარმოადგენდნენ მუდამ ხაამორტიზაციო ბუფერს აღმოსავლეთის და დასავლეთის მუდმივ მეტოქეობის და ბრძოლის პროცესში. სანამ ამ ერებს ჰქონდათ ძალა და თავისუფლება, მათ შეაჩერეს აღმოსავლეთის ბევრი ისეთი შეტევები, რომელთაც ვერ მიაღწიეს დასავლეთამდის. ისტორიის მსვლელობაში ამ ერების არსებობა დასავლეთისთვის მფარველ კედლად იქცა. ამ ერების წინააღმდეგობამ აღმოსავლეთის მიმართ, დასავლეთს მისცა ის მშვიდობიანობა, რომელმაც შეჰქმნა დასავლეთ ევროპის აღორძინება და დასავლეთის კულტურის და ცივილიზაციის უმაღლესი განვითარება. ეს შუაღელი სივრცე ჰქმნიდა გუნებრივ წონასწორობას აღმოსავლეთის და დასავლეთის შორის.

საუბედუროთ, როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი ერთნაირად სცდილობდნენ ამ ხაამორტიზაციო სივრცის დანგრევას და დაპყრობას. მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში, მთელი ეს ბოლი თეთრ ზღვიდან კასპის ზღვამდე, დანგრეული და დაპყრობილი იქმნა. ყველა ის ერები, რომელნიც სცხოვრობდნენ ამ შუაღედ ბოლში, დაპყრობილნი იქმნენ ან ერთი ან მეორე მხრის მიერ. ამ ერების მთელი კრებული მოჰყვა დღევანდელ დაპყრობილ ერების წყებაში.

რამდენი ხანი გაგრძელდა ეს მდგომარეობა? მხოლოდ ნახევარი საუკუნე; დაახლოვებით 50 - 65 წელი. ეს იყო მოკლე ხანა ევროპის გიგანტიურ კოლონიალურ იმპერიებისა. ევროპაში ამ დროს მეფობდა შემდეგი სახაბინო იდეოლოგია: "პატარა, ეროვნულ ნიადაგზედ ჩამოყალიბებულ სახელმწიფოთა ხანა გათავებულია. დღეს შეუძლიანთ იარსებონ მხოლოდ დიდ და მრავალ ერებზედდამყარებულ იმპერიებს"

დღეს ყველამ იცის რითი უპასუხა ისტორიამ ამ სახაბინო პროპაგანდას. უკვე თავისუფალნი არიან ცენტრალურ აფრიკის პატარა ერები, რომელნიც ჯერკიდევ ტომობრივ საფეხურზედ იმყოფებიან. მხოლოდ ევროპაშიღა არიან დაპყრობილი და უფლება აყრილი ერები.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, აქტიური ბრძოლა განთავისუფლებისათვის, დროებით შეწყვეტილი იქმნა დაპყრობილ ერების მთელ წყებაში. მიუხედავათ ამისა, ამ ბრძოლის იდეა მძლავრ ცეცხლით ენთო ყველა ამ ერების ლიტერატურაში და მთელ ხელოვნებაში. არც ერთი ერი ამ ჯგუფიდან არ შერიგებია თავის დამონავებას. პირველ საშუალებასთანვე ყოველი დაპყრობილი ერი ავტომატიურად გადავიდა ღია აქტიურ გამანთავისუფლებელ ბრძოლაზედ. აქტიურ ბრძოლის საშუალება მიეცათ მათ ყველას ერთდროულად პირველ მსოფლიო ომის დასასრულში. ყველამ ერთდროულად დაიწყეს ბრძოლა თავის სახელმწიფოებრივ უფლებათა აღსადგენათ.

როგორც მუდამ ისტორიის მთელ განმავლობაში, ამ ერების ბრძოლა თავის განახლების პირველ წუთებშივე ჩაიგდა თავის ძველ ისტორიულ კალაპოტში. ეს ბრძოლა მთელი ასი პროცენტით დასავლეთის მშვიდობიანობის და უშრუნველყოფის დაცვით იქცა. საინტერესოა, რომ ამ ერებმა თავის ბრძოლით დასავლეთს უფრო მეტი მიანიჭეს, ვიდრე მოითხოვეს თითონ. ეს მუდამ ეხე ხდებოდა ისტორიაში. ბევრი ამ ერებიდგან თავის მწარე ბრძოლაში ჰკარგავდა საკუთარ თავისუფლებას, მაგრამ, ამ ბრძოლით დასუსტებული პრესორი ვეღარ აღწევდა დასავლეთს. ეს ისტორიული მოვლენა ამ ერების ცხოვრებაში დიდი სიზუსტით განმეორდა მეოცე საუკუნეშიც.

ამ ერების გამანთავისუფლებელ ბრძოლამ, თავის დასაწყისშივე ბევრი იხეთი მოვლენები გამოარკვია, რომელთაც დღესაც, დღევანდელ პოლიტიკურ ბრძოლაში დიდი რეალური მნიშვნელობა აქვს, რომლებშიც დასავლეთი ჯერ კიდევ ვერ ერკვევა, სახელდობრ:

- ამ ერებმა ბრძოლის პირველ დღეებშივე გამოარკვიეს, რომ მათ წითელ მოსკოვის სახით ებრძვის ძველი დამპყრობელი, ძველი მიზნებით და ძველი მეთოდებით.

- დღეს, ორმოცი წლის შემდეგ, უმრავლესობამ უკვე იცის, რომ საერთაშორისო ახპარეზზედ წითელი რუსეთი უცვლელად აწარმოვებს იმავე დამპყრობელ პოლიტიკას, რომელსაც იგი აწარმოებდა, თავის სახელმწიფოებრივ ჩამოყალიბების პიველ დღიდან. ამ ერისთვის კომუნიზმი წარმოადგენს მხოლოდ მორიგე საპროპაგანდო ნიღაბს.

- წითელ კრემლის ხურვიდი იყო, რომ ახალად განთავისუფლებული ერები დეპყრო ე.წ. შინაგან გადატრიალების სახით და არა ახალი ოფიციალური ომით. ეს, ვითომ და, შინაგანი გადატრიალება, წითელ რუსეთმა ვერ მოახერხა ვერც ერთ დაპყრობილ ერის წიაღში. მას მოუხდა ყოველ ამ ერის ხელმეორედ დაპყრობა ახალი ოფიციალური ომით.

- ყოველ დაპყრობილ ერს კომუნიზმი მხოლოდ რუხულ ხიბლებით მოახვიეს თავზედ.

- კომუნიზმი ჰქრება დაპყრობილ ერების წიაღში იმავე წამში, რომელ წამშიც იქიდან გადიან რუხულ ჯარის უკანასკნელი პატრონები.

ყველა ხსენებული მოვლენები გამორკვეული იქმნენ 1918-20 წლების გამანთავისუფლებელ ბრძოლის დროს, განმეორდნენ 1945 წელს და მხოფლიომ ახალად იხილა 1956 და 1968 წლებში.

არ დაუბრუნდებით იმ ხაკითხს, თუ რა როლი შეახრულა ამ ერების ერო-
დროულ ბრძოლამ 1920 წელს, როდესაც ფაქტიურად იქ ყდებოდა ევროპის ბედი.
ამას მკითხველი იხილავს ამავე გამოცემის მეოთხე ნომერში და ამავე ავტო-
რის ზემოდ ხსენებულ წიგნში.

დღეს ყველა ეს ერები დაპყრობილნი არიან; დაპყრობილნი არიან ხელშე-
ორედ; დაპყრობილნი არიან იმიტომ, რომ თავიანთ გააფთრებულ აგრესიულ ცნე-
ვაში, მათ ერთდროულად ეკვეთნენ როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის
ძალები. ყველაზედ მეტი ზიანი ამ ერების თავისუფლებას მიაყენა დასავლეთმა,
თავის მოკლემხედველობის შეუგნებელ პოლიტიკით. ამ ხაერთო უბედურობის ფორ-
მალურ დაგვირგვინებათ და განსახიერებათ შეიქმნა 1945 წ., ცნობილი იალტის
კონფერენცია, რომელსაც კატასტროფა მოიგონებს არა ერთხელ, შესაფერისი
შეფასებით. ეს არ იყო პირველი მაგალითი, რომ დასავლეთს მოეჭრა ის ტოტი,
რომელზედაც თითონვე იჯდა.

რა პოლიტიკური მდგომარეობა შეიქმნა მსოფლიოში, როგორც ხაბოლოო შე-
დეგი დაპყრობის ეხეთ ისტერიის ღრეობაში? დღეს ყოველი ერი, რომელიც მოკლე-
ბულია თავისუფლებას ზემოთ ხსენებულ სივრცეზედ, აღმოჩნდა ერთ და იმავე
დამპყრობელის ბატონობის ქვეშ - ყველანი დაპყრობილნი არიან მოხკოვის იმპე-
რიის მიერ. ამის გამო დასავლეთი ბანბარებს თავის ხაძირკვლებში და გარ-
კვეულად ჰგრძნობს, რომ მისი თავისუფალი არხებობა იმყოფება უშუალო ხიფ-
ათის წინაშე.

დღეს უკვე ცხადია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამყარებული
"ორ ზეძლიერებათა" ხისტემა წარმოადგენდა მხოლოდ მოკლე და გარდამავალ მდგო-
მარეობას. ამ ხისტემას ვერ შეეძლო მიეცა მსოფლიოსთვის ისეთი ძალთა წონა-
ხწორობა, რომელიც დაამყარებდა მკვიდრ და ხანგრძლივ ბავს და მშვიდობიანო-
ბას და იგი ხწრაფად უახლოვდება თავის ბოლოს.

არხებულ მდგომარეობაში პირველ ხიფათს წარმოადგენს უკანასკნელი კოლო-
ნიალური იმპერია ევროპის სივრცეზედ - მოხკოვის იმპერია. ამ იმპერიას არ
შეუძლიან იარხებოს, თუ იგი შეაჩერებს თავის ეროვნულ აგრესიულ დამპყრობელ
პოლიტიკას, როგორც თავის შინაგან ცხოვრებაში, ისე ხაერთაშორისო ხარბიელზედ
ეს იმპერია არხებობს მხოლოდ ამ დაპყრობათა გაქანების ინერციით და თუ ეს
დაპყრობის ინერცია შეჩერებული იქმნა, იგი იმწამსვე დაიშლება.

კრემლს ხაუცხოოთ ეხმის თავის იმპერიის მდგომარეობა და მის პოლიტიკურ
აგებულობის თავისებურობა, ამიტომ მისი ხაგარეო პოლიტიკა ზღვას ძალიან

მკვეთრ, მარტივ და პირდაპირ ღიანდაგზედ. ეს არის ძველი უგვლელი ხაბი რუსეთის აგრესიისა, გამოკვეთილი სრულიად ნათლად. კვლავ ხედავ, რომ დამონავებულ ერების სამხედრო პოტენციალით დაიპყრობ ველურ და შეუ დამონჩილებულ დახავლეთის ძალით გაუმკლავდეს ჩინეთს და ამ გზით დაამყაროს თავის ჰეგემონია მსოფლიოზედ.

მიუხედავათ იმ სიძნელეებისა, რომელსაც განიცდის მოსკოვი თავის მონავითარებაში და საერთაშორისო ხარბიელზედ, იგი ვერ არ ლებს ხედს თავის ეროვნულ ტრადიციულ აგრესიის არც ერთ მიმნიდან. იგი მომავლდავის კონვულსიით ებღაუჭება რუსეთის ძველ პოლიტიკურ ხაბს. ეს კრემლი ხრულიად მართალია, ვინაიდან მას კარგათ ესმის, რომ ეს ხაბი წარმოადგენს ერთადერთ ძალას, რომელიც დროებით მაინც ჯერ კიდევ ახერხებს ამ ხუხტად შებღანდულ გიგანტს.

ბოლოს და ბოლოს რა რეალურ ძალებზედაა დამყარებული რუსი ერის ეს ახირებული პრეტენზიები? ამის გამოხარკვევად და სრულ თვალხნიერ გამოთვლისათვის არ არის საჭირო არავითარი ფანტაზია და თეორიული გამოკვლევანი. ისტორია გვაძლევს ამ საკითხის პასუხს ურყევ და კონკრეტიულ ფაქტების სახით.

1919-20 წლების რუსეთის ლაშქრობამ სრულიად ნათლად გამოარკვია, რომ რუსეთი მარტო თავის ეროვნული ძალებით, რომლის გამოყვანაც შეუძლიან მხოლოდ თავის ეთნოგრაფიულ ტერიტორიიდან, ვერას დროს ვერ მიხწვდება შუა ევროპას და მით უფრო , დასავლეთ ევროპის საზღვრებს. აქედან სრულიად ცხადათ სჩანს, რომ მოსკოვის მთელი აგრესია და მსოფლიოზედ გაბატონების პრეტენზიები დამყარებულია მხოლოდ და მხოლოდ დაპყრობილ ერების სამხედრო პოტენციალზედ, ე.ი. ამ ერების ტერიტორიის სტრატეგიულ მნიშვნელობაზედ, მათ ტერიტორიის ეკონომიურ შემძლებლობაზედ, და ამ ერების ცოცხალ ძალებზედ, რომელნიც, თუ დაუჯერებთ ლენინს, ჯერ კიდევ 1917 წელში წარმოადგენდნენ იმპერიის მოსახლეობის 57 პროცენტს.

დაპყრობილ ერების ეს სამხედრო და ეკონომიური პოტენციალი არღვევს დღეს მსოფლიოს პოლიტიკურ წონასწორობას და შეუძლებელ ჰყოფს მკვიდრ და ხანგრძლივ ბავის დამყარებას. თუ ეს საომარი პოტენციალი მოხსნილი იქმნა მოსკოვის იმპერიალიზმის სამხედრო მანქანიდან, მაშინ კაცობრიობა შეძლებს სრულ განახლების და ხანგრძლივ დამშვიდების ღიანდაგზედ.

დღეს მსოფლიოს დამშვიდების და მის თავისუფალ ნაწილის ყოფნა არყოფნის საკითხი დამოკიდებულია რუსეთის მიერ დაპყრობილ ერების განთავის-

უფლების საკითხზედ. თუ დახავლეთს სურს, რომ შეიარჩინოს საკუთარი თავისუფალი არსებობა, დაპყრობილი ერები უნდა განთავისუფლებულნი იქმნენ რუსეთის გაცონობიდან იმის და მიუხედავათ, თუ რუსეთის სათავეში იდგება მეფის თუ კომუნისტების მთავრობა.

ნუკლეალურ იარაღის არსენალი, შორსმჭდომი რაკეტების რიცხვი, ახლონაოხნობის სივრცის გამოყენება.... ყველაფერი ეს იძლევა მხოლოდ დროებით ტაქტიკურ წარმატებას და მორიგე შეტაკების მოგების იმედს. ეს ელემენტები არას შემთხვევაში არა ჰქმნიან პირობებს ძალთა მკვიდრ წონასწორობისა და ხანგრძლივ ბავის დამყარებისა.

დახავლეთი ჰგრძნობს თავის მდგომარეობის მთელ სიმძიმეს და დეეძებს საკუთარ თავისუფლების გადარჩენის საშუალებებს. ამის ძიებაში უფრო და უფრო ხშირად ისმის გაერთიანების რჩევა. რა არის გაერთიანება და ვის და როგორ გაერთიანებას შეუძლიან მოუტანოს მსოფლიოს მისი ხანატრელი მშვიდობიანობა?

ვის გაერთიანებას შეუძლიან მოუტანოს მსოფლიოს ძალთა მკვიდრი წონასწორობა? თუ ვიგულისხმებთ მარტო დახავლეთ ევროპის გაერთიანებას - ეს არის მხოლოდ კონტი ევრაზიის კონტინენტისა და ეს იქნება არა გაერთიანება, არამედ მხოლოდ მორიგე კოალიცია ამ სივრცის სახელმწიფოებისა. ესეთი კომბინაციები ბევრი იყო ისტორიის ვითარებაში და ამ კომბინაციებმა ბოლოს ბოლოს მსოფლიო მიიყვანეს დღევანდელ მდგომარეობამდის.

დღეს ევრაზიის კონტინენტი განიცდის ეროვნულ არსებობისთვის ბრძოლის უმაღლეს სიმწვავეს და აღმოსავლეთიდან ევროპისაკენ მიიწევის არა ერთი ბვირთი გაცაცებული დამპყრობელ ღრევით. რომელ ერების გაერთიანებას შეუძლიან შეჰქმნას ამ პირობებში ძალთა წონასწორობა ? შეიძლება ამ საკითხის გადაწყვეტა გეოგრაფიულ რუკის ნაკვთების გამიჯვნით, რომელიმე პარალელების ან მერედიანების ხელოვნურ ხაზების გაყოლვით? რა მოვლენები ჰქმნიან გაერთიანების ნიადაგს.

გაერთიანების პირველ ნაბიჯს წარმოადგენს ის, რომ თავისუფალი ერთეულები საკუთარ ეროვნულ არსებობის უზრუნველყოფას ხედავენ მჭიდრო თანამუშაობაში და თანაბრძოლაში სხვა რომელიმე ესეთივე ერთეულებთან. ეს ხდება უმთავრესად ხანგრძლივ ხაერთო პოლიტიკურ ხიფათის წინაშე. ხშირი განმეორებითი თანაბრძოლა ჰბადებს ხურვილს ამ თანაბრძოლის და თანამუშაობის მუდმივ ხახის გამონახვისა.

ესეთი ფსიხოლოგიური განწყობილება შეიქმნა დღეს ყველა იმ ერების წიაღში, რომელნიც ჩამოყალიბდნენ ევროპის კულტურის გარშემო. აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ხელოვნურ გეოგრაფიულ გამიჯვნას. მაგალითად, იბმადლეთი და სპარსეთი აზიის სივრცეში იმყოფებიან და ერთ დროს წარმოადგენდნენ მხოლოდ აზიას. დღეს, ყოველ გარდამწყვეტ მომენტში, ეს ერები მუდამ დასავლეთთან იქნებიან. რასაკვირველია, ამავე დროს არას შემთხვევაში არ შეიძლება ამ ერების/მველ ისტორიულ ტრადიციების და ცხოვრების პირობების დარღვევა და შელახვა. ესეთივე თავის განსაკუთრებული ხელშეუხებელი ტრადიციები და ცხოვრების ეროვნული სახე აქვს ყოველ ერს.

მიუხედავათ ამ თავისებურობისა, მიუხედავათ აზიის და ევროპის ხელოვნურ გეოგრაფიულ გამიჯვნისა, ყველა ამ ერებს აქვთ ხურვილი და ხრული შეგნება ამ ხურვილისა, რომ მათ შეჰქმნან ერთი მთლიანი პოლიტიკური ერთეული/მ პირობით, რომ მათ ცხოვრების ეროვნული ტრადიციები და სახე არ იქნებიან შელახული; ე.ი. ხურთ გაერთიანება თავდაცვის ძალებისა და ეკონომიურ შემოქმედებლობისა, რომ გადაარჩინონ თავიანთ თავისუფალი არსებობა, როგორც მოწინააღმდეგის აგრესიიდან, აგრეთვე ზოგიერთ მოკავშირის ზედმეტ "გულმოდგინე" ზედაგავლენიდან, ვინაიდან მოკავშირის ესეთი ზედაგავლენა, თავის საბოლოვო შედეგში, ხდება იმავე დაპყრობათ უცხო ძალის მიერ /მოიგონეთ რუსეთ-საქართველოს კავშირი, უკრაინა-რუსეთის კავშირი, ესეთივეა დღევანდელი რუსეთ-არაბების კავშირი/.

რასაკვირველია, შეგნების ამ საფეხურს ვერ მიაღწევდნენ ევროპის კულტურის ერები იმ დროს, როდესაც ევროპის იმპერიები ისე ძლიერნი იყვნენ, რომ ყოველ მათგანს ხწამდა, რომ მარტო გაუძღვებოდა მთელ მსოფლიოს და ყოველი მათგანი მხოლოდ დაპყრობებზედ ჰფიქრობდა. ეს იყო ყველაზედ მძლავრი ხენი ევროპისა. ამის გამო ევროპამ თავის ისტორიაში ვერ შეჰქმნა ერთი მთლიანი პოლიტიკური სახე და იგი არას დროს არ წარმოადგენდა მთლიან პოლიტიკურ ერთეულს. პირიქით, როგორც უკვე ზემოთ იქმნა აღნიშნული, ხწორედ ამ დროს იყო, რომ ევროპის ყოველი კოლონიალური იმპერია მზად იყო, რომ კოლონიალურ,ყოველ მეორე თუ მეხამე ხარისხოვან, "ინტიდენტის" გამო, ევროპის შუაგულში ეცხელა მეოცე ხაუკუნის განმანადგურებელი ომი.

იმპერიების მოხპობამ და ხაერთო ხიფათის შეგნებამ გახხნეს გზა ევროპის კულტურის ერების ძალთა გაერთიანებისკენ და ეს არის ნამდვილი ხაჭირველი ევროპის ძლიერებისა, მხოფლიოს ძალთა მკვიდრ წონახწორობისა და ხანგრძლივ მშვიდობიანობისა.

აქ ვხედავთ ისტორიის ერთგვარ პარადოქსს: ევროპა, როგორც მთლიანი ერთეული, ძალია ხუსტი იყო, როდესაც ევროპის დაღეკ სახელმწიფონი თავიანთ სიძლიერის უმაღლეს წერტილზედ იდგნენ. მაგრამ, იგივე ევროპა შეიძლება იქმნეს უძლიერეს ერთეულად, როდესაც მისი შემადგენელი სახელმწიფონი თავის ისტორიაში ყველაზედ მეტ სიხუსტეს განიცდიან და იმყოფებიან თავისუფალ არხეზობის დაკარგვის უშუალო მუქარის ქვეშ.

არხებობენ სხვა ამის ჩინაუკმო მიმართულებანიც და ამ მიმართულებებსაც დღეს განთავისუფლებას და გაერთიანებას უჩოდებენ, მაგალითად საბჭოთა "კავშირი". ამ სახელმწიფოს ყოველ აგრესიულ მოქმედებას და დაპყრობას დღეს "განთავისუფლება და გაერთიანება" ჰქვიან. არ არის საჭირო ამ მოვლენის ზუსტი გარჩევა. რას ნიშნავენ რუსულ ლექსიკონში სიტყვები "განთავისუფლება და გაერთიანება", ამის სრულ ახსნას იძლევა ორი თარიღი: 1956 წ. საქართველოში და უნგრეთში და 1968 წ. ჩეხოსლოვაკიაში.

საბჭოთა კავშირის დღევანდელ შინაგან პოლიტიკას 1917 წლის წინ დაპყრობა და რუსიფიკაცია ერქო. დღეს ამ სახელმწიფოს ამავე ძველ პოლიტიკას კრემლის ენით "გაერთიანება და დენაციონალიზაცია" ჰქვიან. კრემლი თავს იცყუებს იმ იმედით, რომ ძველ პოლიტიკურ ტერმინოლოგიის შეცვლით, ძველ მეთოდებით და ძველ მიზნით ხელმეორედ დაპყრობილ ერებს, მოსკოვის კოლონიალურ იმპერიას სამოთხეთ მოაჩვენებს. მოსკოვის იმპერია იყო ციხე დაპყრობილ ერებისთვის და დარჩა იხეთივე ციხეთ.

არც შეერთებულ შტატების ფედერაციული წყობილება წარმოადგენს მისაბაძ ნიმუშს ევროპის კულტურის ერების გაერთიანებისთვის. მაგალითად: შეერთებულ შტატებმა იყიდეს ნაპოლეონისგან საფრაგეთის ლუიზიანა. ამ სივრციდან გამსჭვრეს რამოდენიმე სწორკუთხედი შტატი, ერთი მეორეხაგან გამიჯნული სწორხაზიანი ხელოვნური საზღვრებით და ეღოდნენ იმიგრანტებს ამ ცარიელ სივრცის დასახლებლათ. ეს სრულიად სწორი და მიზანშეწონილი მოქმედება იყო, ამერიკის იმ დროის პირობებში, მაგრამ არა ევროპის კულტურის ერების დღევანდელ პირობებში.

ევროპის სივრცეზედ ყოველივე მაზრის საზღვრებიცკი ისტორიის ხანგრძლივ ცხოვრებით არიან გამოკვეთილნი და, როდესაც ერთ ისტორიულ ბრძოლის ველზედ მდგეხართ, ცაცნობზედ უკვე ხედავთ მეორე ბრძოლის ველს. ეს თავდაცვის და ეროვნულ არხებობისთვის წარმოებულ ბრძოლის ველები არიან. ამის ამოშლა ერის არხებობიდან და შეგნებიდან არა ხერხდება. ამ ერების გაერთიანება შეიძლება მხოლოდ მათ ეროვნულ სახის და გრძნობების ფაქიზი შენახვით. ეს გარე-

მოეგა სრულიათაც არ აბრკოლებს ამ ერების [illegible]
ხ[illegible]ორედ ეს მოვლენა არის ნამდვილ გზის [illegible]
ერთიანებისაკენ.

აქ ხაჭირია მოვიგონოთ წვენ [illegible]
საქართველო-რუხეთის ომში, [illegible]
ცაგახმელის ნაკვთი შევიდგან [illegible]
შედაც რაინდულათ დაიხოცნენ [illegible]
სოღანლუღის ნაკვთი იბრძოდა უშუალოდ მეხე ერეკლეს [illegible]
ბრძოლის ველზედ, სადაც გმირულად გახჭირეს თავი 300 [illegible]

რა მიმართულებაზედ დააყენეს დღეს მსოფლიოს პოლი[illegible]
ვით აღნიშნულ მოვლენებმა? როგორც უკვე აღნიშნული იქმნა, მეცხრამეტე ხაუკუნის ურთიერთობის დებულებებმა გახცანეს 1914 წლის პირველ აგვისტომდე, ე.ი. პირველ მსოფლიო ომის პირველ ბარბაზნის გახროლამდის. ამ დღიდან გათავდა ეს ხანა და მსოფლიო შევიდა ძირითად გარდაქმნის პროცესში. ეს პროცესი ჯერ კიდევ შორს არის თავის ბუნებრივ დამთავრებიდან, მაგრამ, განვლილ ნახევარ ხაუკუნიდგან ნათლად მოხჩანს ამ გარდაქმნის ხაზი და უკვე შეგვიძლიან ჩამოთვლა იმ კონკრეტიულ ფაქტებისა, რომელთაც მომავალი ისტორია ვეღარ შეხცვლის, ხახელდობრ:

- შინაგან წყობილების ყოველგვარი ხახე და ხაკითხები თავისთავად გადავიდნენ მეორე ხაკითხთა რიგში.

- ხამუდამოდ გათავდა ხანა დიდ და ჭრელ იმპერიებისა. ყოველი დიდი დამპყრობელი იმპერია იშლება და უახლოვდება თავის ნამდვილ ეთნოგრაფიულ ხაზღვრებს და ბოლოს ბოლოს ემყარება თავის ხაღ ეროვნულ პატრიოტიზმის ხა - ძირკველს.

- ცხოვრებამ ახალად აღნიშნა ხაგანგებო ხაზგახმით, რომ კაცობრიობის გუნებრივ შემადგენელ ერთეულს წარმოადგენს ერი და არა ხელოვნურად შექმნილი დროებითი ხახე რომელიმე იმპერიისა.

- ისტორიაში ყოვლად შეუძლებელი გამოდგა ძველ კონტინენტზედ რამე ახალ ხელოვნურ, ხინტეტიურ ერის შექმნა, როგორც მაგალითად ხაბჭოთა ნაციისა. ეს არის მხოლოდ მარტივი და უხეში რუხიფიკაცია და დაპყრობილ ერების ეკონომიური, პოლიტიკური და ფიზიკური განადგურება.

ჩამოთვლილი მოვლენები მკვეთრად გაცნობენ პოლიტიკურ ცხოვრების ვითარებაზე, როგორც უკვე ჩამოყალიბებული ისტორიული ფაქტები. ამით გათავდა კაცობრიობის ცხოვრების ის ხანა, როდესაც ერთი ერი ბატონობდა მეორეზე. ეს მოვლენა უკვე ისტორიას უნდა ჩაბარდეს. დღეს აღარ შეიძლება კაცობრიობის არსებობის დამყარება ერების მთელ წყებათა დამონავებაზე.

ამ მოვლენას აქვს თავისი მკვეთრი წინამორბედი მაგალითი ისტორიაში, რომელიც გათამაშდა ეხევე მთელ მსოფლიოს ზომით. ეს იყო პირად მონობის მოსპობა, მოსპობა იმ წესისა, რომლის ძალითაც ერთი ადამიანი მფლობელობდა მეორეს ისე, როგორც უბრალო საქონელს და ცოცხალ ინვენტარს. ეს სულ ერთი იყო, ვის განთავისუფლებაზედ იყო ლაპარაკი - იყვნენ ეს ცამბოვის გუბერნიის ე.წ. "მუჟიკები", თუ შეერთებულ შტატების ბანგი მონები, ან ავსტრიის კროატელი გლეხები. მეცხრამეტე საუკუნის ხამოციან წლებში უკვე ყოვლად შეუძლებელი გახდა ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის მფლობელობა და ეს მოვლენა მოისპო. ზოგან მოისპო მშვიდობიანი რეფორმის სახით, ზოგან სამოქალაქო ომის საშუალებით, მაგრამ, იგი მოისპო მთელ მსოფლიოში.

დიახ! იყვნენ ბევრი ე.წ. მეცნიერები, რომელნიც ფანქრით ხელში და სტატისტიკური რიცხვებით ამტკიცებდნენ, რომ მსოფლიო ვერ გაუძლებს ეხეთ "უმაგალითო" ექსპერიმენტებს და დაინგრევა. მაგრამ, მსოფლიო არ დაინგრა და თავის წინსვლაში მიადგა ეხეთივე ზომის მორიგე საკითხს. მეოცე საუკუნის გარდაქმნის პროცესში გათავდა ერთი ერის მეორეზედ ბატონობის ხანა იხევე, როგორც მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში გათავდა ხანა ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის მფლობელობისა.

დღეს კაცობრიობის განვითარებას იხევე გედეეღობა წინ ერების დამონავების ფაქტი, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში განვითარების გზას ჰკეტავდა ბატონყმობის დროს შექმნილი ინდივიდუალური მონობა. ერების განთავისუფლების საკითხი წარმოადგენს დღეს მთელ კაცობრიობის ვითარების საკითხს. უკვე აღარ შეიძლება ამ საკითხის დაგვიანება, გადადება და გვერდზედ აქცევა. დღეს ამ საკითხისთვის აღარა აქვს დიდი მნიშვნელობა იმას, თუ რა პოზიცია უკავია ამის შესახებ ოფიციალურ პოლიტიკურ მსოფლიოს და მის ბიუროკრატიას. დრო მუშაობს დაპყრობილ ერების განთავისუფლების სახარგებლოდ და ეს საკითხი გადახწყდება მთელ მსოფლიოში თანაბრათ ყველა დაპყრობილ ერებისათვის.

ამ პროცესმა გამოიწვია ძირითადი ცვლილებანი მსოფლიოს ძალთა განწყობილებაში. ეს ცვლილებანი ვითარდებიან დიდი სიჩქარით, მაგრამ, უკვე საკმაოდ მკვეთრად ჩამოიხაზა მომავალი გეზი ძალთა ახალ განწყობილებისა. აქ უაზრო

მომავლის წინასწარმეცნიერება, საკმარისია წარმოვიდგინოთ ნათლად დღეს არსებული ძალთა განწყობილება მსოფლიოში. დაუბრუნდეთ ახალად ამ საკითხს.

დღეს მსოფლიოს თავისუფალ ნაწილის პირდაპირ ხიფათს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ევროპის ერების მთელი მეხამედი და კიდევ მეტი სხვა ერები, დამონავებულნი არიან მოსკოვის იმპერიის მიერ. კრემლი ჰგრძნობს, რომ ეს უშველებელი სამხედრო ძალა, მას ეკარგება ხელიდან. ამიტომ იგი /კრემლი/ ცდილობს პანიკურ სიჩქარით, რომ გამოიყენოს ეს ძალა, სანამ იგი ხელიდან წაუვა, რომ ჯერ კიდევ მოასწროს მსოფლიოს დაპყრობა ამ ძალით.

ეს გარემოება, დაპყრობილ ერებს, როგორც ერთ მთლიან წყებას, სამხედრო ვარგისობის გარდა აძლევს მძლავრ პოლიტიკურ პოტენციალს და ეს პოლიტიკური ძალა ამ ერებისა იზრდება დიდი სიხშირით. ამ ძალას ჰქმნის ის ფაქტი, რომ დაპყრობილ ერებს არა ხურთ იბრძოლონ მსოფლიოს თავისუფალ ნაწილის წინააღმდეგ, არა ხურთ იბრძოლონ რუსეთის სახარგებლოთ და არა ხურთ იბრძოლონ იმისთვის, რომ მოსკოვი აქციონ იღუმენ ფილოფეის"მესამე რომად".

კრემლი გრძნობს, რომ მოსკოვის იმპერია მიადგა დაპყრობების გახაქანის გადაულახავ ბუნებრივ ბღუდეებს. აღმოსავლეთ საზღვრებზედ მას გაუჩნდა მძლავრი მუდმივი მოწინააღმდეგე ჩინეთის სახით, რომელმაც მოსკოვს მკვეთრად ჩამოუხაზა ჩინგიზ ხანის აჩრდილი. დასავლეთ ევროპის დაპყრობის საუკეთესო მომენტი კრემლმა დაჰკარგა 1920-21 წლებში. ეს საშუალება მოსკოვს მოუხდა მაშინ სწორედ დაპყრობილ ერების ერთდროულ ბრძოლამ.

კრემლს ესმის კარგათ კიდევ ერთი ფაქტი: დიდი და გაუთავებელი დაპყრობები წარმოადგენენ ამ იმპერიის არსებობის საიდუმლოებას. ისტორიკოსების გამოთვლით, უკანასკნელ სამ საუკუნის განმავლობაში, ეს იმპერია იზრდებოდა ყოველ ღამეში 80 კვადრატიული კილომეტრის სიჩქარით. ამ დაპყრობების გახაქანი უკვე მიადგა თავის გადაულახავ ბღუდეებს და ამ ინერციის შეჩერება თავის ძალით ანგრევს ამ იმპერიას.

ეს გარემოება მსოფლიოსთვის მხოლოდ ორ შესაძლებლობასღა ხტოვებს: ან მოსკოვის იმპერიამ უნდა განაგრძოს თავის გაუთავებელი აგრესიული მოქმედება თავის არსებობის შესანარჩუნებათ, ან დაპყრობილი ერები, როგორც მოსკოვის აგრესიის მოტორი, განთავისუფლებულნი უნდა იყვნენ ამ მდგომარეობიდან; ე.ი. სანამ დაპყრობილი ერები არ იქნებიან განთავისუფლებული მოსკოვის იმპერიის მონობიდან, მანამ კაცობრიობა იქნება მუდმივ და გაუთავებელ ომების განცდაში.

აქ იბადება ბუნებრივი კითხვა: როგორ და რისთვის აღმოჩნდა რუსეთი ევროპის და მთელ მსოფლიოს პირდაპირ და უახლოეს ხიფათის როლში?

რუსეთი, როგორც მორიგე და უკანასკნელი იმპერია ევროპის სივრცეზედ, დღეს განიცდის ყველა იმპერიების აუცილებელ ავადმყოფობას. ყოველი იმპერია, თავის საბოლოო მიზნათ, აუცილებლივ იხახავდა , თავის დროს ცნობილ, მთელ მსოფლიოს დაპყრობას. უკანასკნელ ხამ საუკუნის განმავლობაში, ევროპამ ხამჯერ ზედიზედ განიცადა ესეთი აგრესიული შეტევა და ყოველ მათგანმა გადაიარა ომების გრძელი რიგის ქარიშხალის სახით.

მეჩვიდმეტე საუკუნეში ევროპის დაპყრობას ხდილობდა ოტტომანთა იმპერია. ომების გრძელი რიგის შემდეგ ეს ბვირთი უკუგდებული იქმნა ვენის კედლებიდან. და მან ნელნელა დახტოვა თავის აგრესიის ხარბიელი. შემდეგ ევროპის დაპყრობა სცადა ნაპოლეონმა და ბოლოს ჰიტლერმა. ყველა ეს დამპყრობელი ღრევანი სწარმოობდნენ ან რელიგიურ, ან სხვა რამე პოლიტიკურ იდეოლოგიის ნიღაბ ქვეშ, თავის სიღრმეშიკი ემსახურებოდნენ მხოლოდ და მხოლოდ ერთ და იმავე მიზანს:
- უხეშ დაპყრობას.

დღეს ევროპის დაპყრობისთვის იბრძვის რუსეთი, როგორც მორიგე იმპერია, თავის ახალ მორიგე იდეოლოგიის ნიღაბ ქვეშ. მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში რუსეთი, თავის მოკავშირეთა ბურგზედ, შემთხვევით აღმოჩნდა შუა ევროპაში; ამ შემთხვევითი წარმატების შემდეგ, რუსეთმა ევროპის დაპყრობის მაგიერ, მსოფლიოს დაპყრობა დაისახა უშუალო მიზნათ.

რუსეთს ძალიან მოკლე დროა დარჩა დაპყრობილ ერებზედ ბატონობისა და სულ რამოდენიმე წელიწა ჩინეთის საბოლოო სამხედრო მომაგრნბამდის. ე.ი. უკანასკნელი საშუალება,მსოფლიოს დაპყრობისთვის უკანასკნელ ცდილობისა, რუსეთისათვის ჰქრება დიდი ხიხწრაფით. დღეს..... ან არახოდეს, უნდა სცადოს რუსეთმა თავგანწირული ნახტომი მსოფლიოს დასაპყრობათ.

ეს ყველაფერი საუცხოვოთ ეხმის კრემლის მთავრობას. მის წინ ბდგას ერთად ერთი არჩევანი: მსოფლიოზედ გაბატონება, ან იმპერიის დაშლა. ამ კითხვის საპასუხოდ მოხკოვს ძალიან ცოტა ხანიღა დარჩა, ვინაიდან დრო დიდი ხიხწრაფით მუშაობს რუსეთის წინააღმდეგ.

დღეს რუსეთი იმყოფება იმპერიების ავადმყოფობის უკიდურეს კრიზისის ხანაში. ამ მომენტში იგი წარმოადგენს დიდ და უშუალო ხიფათს, როგორც ევრო-

პირთვის, აგრეთვე მთელ მსოფლიოსთვის. იმპერიების ავადმყოფობას აქვს თავის ბუნებრივი მსვლელობა და ბუნებრივი ბოლო. აგრესიის ავადმყოფობის გავლის შემდეგ, როდესაც რუხეთი ჩაყენებული იქნება თავის ეთნოგრაფიულ საზღვრებში, ეს ერი სულ სხვა ბუნებას და სახეს მიიღებს და სრულიად მისაღები გახდება ევროპის კულტურის ერების წიაღში, როგორც ოჯახის წევრი.

ეს მსჯელობა, დაპყრობილ ერების პოლიტიკურ მსოფლიო მნიშვნელობაზედ, რომ არ შევჩყვიტოთ ამ საკითხის მხოლოდ თეორიულ განხილვაზედ, საჭიროა ამ ერების მთელ წყების მსოფლიო მნიშვნელობა და მისი პოლიტიკური პოტენციალი, დავახასიათოდ მკვეთრად და პრაქტიკულად; ამისთვის, წერილის ავტორი, პატივცემულ მკითხველებს უმორჩილესად სთხოვს შემდეგს:

- გთხოვთ დაიდოთ წინ ევროპის რუკა მახლობელ აღმოსავლეთის ნაკვთით / ამ ტერმინის ისტორიულ მნიშვნელობით, არა "შუა აღმოსავლეთის" ნაკვთით/.

- გთხოვთ მკვეთრად შემოხაზოთ 1914 წლის დაპყრობილ ერების სივრცის საზღვრები და წარმოიდგინოთ, რომ აღნიშნულ სივრცის ერები არიან თავისუფალი და სუვერენული სახელმწიფონი.

- გთხოვთ წარმოიდგინოთ, რომ ეს არის 1 აგვისტო 1914 წ.

აქ იბადება საკითხი: შესაძლებელი იყო ესეთ პირობებში პირველ მსოფლიო ომის აღმოხეთქვა?

ამ კითხვაზედ არსებობს მხოლოდ ერთად ერთი კატეგორიული პასუხი: ყველა დაპყრობილი ერები 1914 წ. რომ თავისუფალი და სუვერენული სახელმწიფონი ყოფილიყვნენ, პირველ მსოფლიო ომის აღმოხეთქვა ფიზიკურ შეუძლებლობას წარმოადგენდა, არ არსებობდა არავითარი ნიადაგი მეორე მსოფლიო ომისთვის და შეუძლებელი იქნებოდა მესამე მსოფლიო ომის რამე ხიფათის მოსაზრება.

რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დედამიწის ბურგზედ იმეფებდა იდეალური ბავი და მშვიდობიანობა. არა, იქნებოდნენ ბევრი შეხლანი და ომებიც, მაგრამ, ყველაფერი ეს იქნებოდა მოკლე , ადგილობრივ შეზღუდულ შეჯახებათა ფარგლებში და ეს მოვლენები არას დროს არ მიიღებდნენ სახეს , მსოფლიოს ზომის უბედურობისა.

ამ ერების დაპყრობა და გაყოფა დიდ იმპერიების შორის, წარმოადგენს იმ შეცდომას, რომელიც კავკასიონს დაატყდა თავზედ უმაგალითო კატასტროფის სახით. როგორც შედეგს ამ შეცდომისა, კავკასიონა დღემდის იხდის სამძიმე ხიხლის ხარკს და ამ უბედურობის დასასრული ჯერ კიდევ არ მოსჩანს. ეს არის ერთი მხარე დაპყრობილ ერების მთელ წყების პოლიტიკურ მნიშვნელობისა. ეს მხარე ოკუპანტების ბოროტმოქმედების წყალობით, ისტორიაში თავისთავად უარყოფით მოვლენათ იქცა.

დაპყრობილ ერების საერთო პოლიტიკურ პოტენციალმა, თავის დადებითი გავლენა მსოფლიოს პოლიტიკურ ვითარებაზედ, დაიწყო 1918 წლიდან. 1917-18 წლებში ყველა დაპყრობილ ერებმა ერთდროულად აღადგინეს თავიანთი ეროვნული დამოუკიდებულობა და დაიწყეს ბრძოლა მოპოებულ თავისუფალ არსებობის დამკვიდრებისთვის. ისტორიაში ეს პირველად მოხდა, რომ ყველა ამ ერების მოქმედება სრულიად ერთდროულად გათამაშდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოქმედება სრულებითაც არ იყო წინასწარ კოორდინებული.

ამ მოვლენამ მოიტანა მთელ მსოფლიოს ბომის დადებითი შედეგი. პირველ მსოფლიო ომის უაზრო ბრძოლებით სისხლიდან დაცლილი დასავლეთი ევროპა, განიცდიდა მოკლე, მაგრამ სრულ უძლურების მდგომარეობას. რუსეთის შესევისათვის გზა დასავლეთისკენ სრულიად ღია იყო. რუსეთი შეაჩერა მხოლოდ დაპყრობილ ერების ერთდროულ ბრძოლამ. ამ ერების სრულიად მოკლე თავისუფალ არსებობამ და მათ ერთდროულ ბრძოლამ, კავკასიონას უძღვნა თავისუფლება და 19 წლის მშვიდობიანობა.

მეორე მსოფლიო ომის შედეგში დაპყრობილ ერების იდეა უაზროდ იქმნა გაქცეული იალტის კონფერენციაზედ. ამ უაზრო მოქმედების წყალობით დღეს მსოფლიოს თავისუფალ არსებობის სძირკველი განგარებს დაპყრობის პირდაპირ მუქარის წინაშე.

საინტერესოა აღვნიშნოთ განვითარების რა საფეხურს მიაღწია დაპყრობილ ერების განთავისუფლების პროცესმა. მსოფლიოს ოფიციალურ სახელმწიფოთა ნაწილი არ აძლევდა დაპყრობილ ერებს, მათ პოლიტიკურ პირად სახეს და ხმას. მაგრამ, დღეს საერთაშორისო ხარჩიელზედ დაპყრობილი ერები ზდგანან, როგორც ახალი პოლიტიკური კრებული ერთეული, თავის მკვეთრად ჩამოყალიბებული მცკიცე იდეოლოგიით და მძლავრი სამხედრო და პოლიტიკური პოტენციალით.

მომავალში ამ ერების მოქმედება მუდამ ერთდროული იქნება, ვინაიდან მათ კოორდინაციას ავტომატიურად აწყობს თვით ცხოვრების ვითარება, როგორც ერთ

და იმავე ოკუპანტის მიერ დაპყრობილ ერებისა. ე.ი. დაპყრობის იხტერია მივიდა თავის ლოგიკურ უაზრობის და აბსურდის იმ წერტილამდის, როდესაც დაპყრობილ ერების წინააღმდეგობის ძალას თითონ ოკუპანტივე აწყობს და აძლიერებს.

დღევანდელი პოლიტიკური ვითარება და სამხედრო ტეხნიკის ხაფეხური, ბრძოლის ველის ხრულ გაცონობას დაპყრობილ ერებს უცოვებს, როგორც ერთ მთლიან წყებას. იმას, რასაც დაპყრობილ ერებს ართმევდნენ მხოლოის ოფიციალური სახელმწიფონი, დღეს მათ ბრძოლის ველი უბრუნებს უკან.

აღვილი გასაგებია, რომ ოფიციალურ ბიუროკრატიას არ მოხწონს, რომ ცხოვრების ხარბიელზედ მდგას პოლიტიკურად ჩამოყალიბებული კატეგორია დაპყრობილ ერებისა. ბევრი ბიუროკრატი განწირან ხუჭავს თვალებს ამ მოვლენაზედ. მიუხედავათ ამისა ფაქტი ფაქტადა რჩება: დღეს რომ დაპყრობილ ერების მთელი წყება მკვეთრად ჩამოყალიბდა პოლიტიკურად, ეს ფაქტი თავისთავად შეუძლებელ ხდის დხავლეთ ევროპის და მხოლოის დაპყრობას. ამის გარანტიას იძლევა თვით ბრძოლის ველი და არა რომელიმე კონფერენციის ხაეჭვო ღირსების გარანტია ქაღალდზედ.

მეორე მხოლიო ომის ბოლომდის, დაპყრობილ ერების საბრძოლო ვარგისობა მოქმედობდა მხოლოდ მათ ოკუპანტების სახარგებლოთ. დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაში, მთელი ეს ძალა და მისი ხომარი ღირსება იმოქმედებს მხოლოდ თავისუფალ მხოლოის სახარგებლოდ და მთელი თავისი ძალით იბრძოლებს თავის უკანასკნელ ხაერთო ოკუპანტის წინააღმდეგ. აი ეს არის დღევანდელი პოლიტიკური პოტენციალი დაპყრობილ ერების ჯგუფისა და მის სამხედრო ღირსებისა.

მოხკოვს, თავის აგონიის კრიზისში, აქვს ორი მკრთალი აჩრდილი თავის მიზნის მიღწევის იმედისა, ეს შემდეგი ცრუ იმედია /მირაჟი/:

- რომ იგი აღადგენს და შეირჩენს ატომის იარაღის მონოპოლს და მის შანტაჟის თვისებას;
- რომ მოულოდნელ მოქმედებით მოასწრობს გამოიყენოს ტეხნიკურ მომზადების უპირატესობა და მხოლოი დააყენოს შეხრულებულ ფაქტის წინაშე.

რუხეთმა, კიდევაც რომ, მიაღწიოს ამ ხაეჭვო შედეგებს, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ დროებითი წარმატება და დროებით შვების მიღწევა. დღეს რუხეთს აღარ აქვს ხაშუალება ხაბოლოო მიზნების მიღწევისა და მის განმტკიცებისა.

რუხეთმა რომ აღადგინოს "ორ ბეძლიერებათა" მონოპოლი ატომის იარაღზედ, მან დღესვე უნდა დაიწყოს პრევენციული ომი ყველა იმ ხახელმწიფოთა წინააღმდეგ,

რომელთაც მოეპოვებათ ეს იარაღი და, რომელთაც აქვთ საშუალება გააკეთონ ეს იარაღი ახლო მომავალში. კონფერენციებით, რომელთა მიზნათაც ოფიციალურად ახახელებენ ე.წ. "ატომის იარაღის გავრცელების შეჩერებას", ორი მეძლიერებანი ვერ აღადგენენ ამ იარაღის დაკარგულ მონოპოლს.

რაც შეეხება პრევენციულ ომს; ყოველ სამხედრო მოქმედებათა დახაწყისში, მისთვის ჩვეულებრივ მოულოდნელ თავდასხმით, რუსეთს მუდამ შეუძლიან მიაღწიოს პირველდაწყებით დროებით წარმატებას. მაგრამ, ყოველ ომში და ბრძოლაში სამხედრო მოქმედებანი ბოლოს აუცილებლივ აღწევენ იმ გარდამწყვეტ ხულიერ სიმაფრეს, როდესაც ომის ბედს ხწყვეტს არა უხულო მანქანა, არამედ მებრძოლ ადამიანის ნებისყოფა და მისი გარდაწყვეტილება, რომ უეჭველად მიაღწიოს თავის ბრძოლის მიზანს. ამ ბრძოლის თავგამოდებას იძლევა მხოლოდ იდეოლოგიური ნიადაგი.

რაც დედამიწის ზურგზედ არსებობს კაცობრიობა, არას დროს არ ყოფილა იმაზედ მძლავრი იდეოლოგია, როგორც უცხო ერის მონობიდგან განთავისუფლების ხურვილი. ყოველ ბრძოლის ველზედ, სადაც ბრძოლის სიმწვავე მიაღწევს თავის გარდამწყვეტ სიმაფრეს, რუსეთის მხრივ მებრძოლთა უმრავლესობა მუდამ დაპყრობილ ერების შვილებისა იქნება და ამ წუთიდან ბრძოლის ველზედ მხოლოდ ერების განთავისუფლების იდეა იმეფებს.

მხოფლიოს დპყრობის უკანასკნელ პრეტენდენტის ღწევა უკვე თავის აღხარულის ხტადიაში გადავიდა. დღეს მხოფლიოს წინაშე მხოლოდ ერთი საკითხია ბდგას: ჯერ კიდევ რა ხიფათის და მბნევის მიყენება შეუძლიან მხოფლიოსთვის, უკანასკნელ კოლონიალურ იმპერიის სახიკვდილო კონვულხიებს და რამდენი ხანი გაგრძელდება მტკივნელი შობის პროცესი ახალ რუს ერისა, რომ იგი განთავისუფლებული იქმნეს , დაპყრობათა იხტერიის კრულვიდან.

ვანო ნანუაშვილი.